**ორი საწვრთნელი მატჩი**

**ლესელიძე. აქაურ სპორტულ ბაზაზე წინასასეზონო საწვრთნელ მზადებას განაგრძობს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.**

დინამოელებმა 5 და 7 თებერვალს საერთაშორისო საწვრთნელი მატჩები გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „კარლ-მარქს-შტადტის“ გუნდთან. პირველ შეხვედრაში თბილისელები დაწინაურდნენ (გოლი გაიტანა შენგელიამ). შემდეგ წინ გავიდნენ სტუმრები - 2:1, მალე ანგარში გაათანაბრა გურულმა - 2:2, მაგრამ ”კარლ-მარქს-შტადთის“ ერთ-ერთი შეტევა მატჩის დასასრულს გადამწყვეტი გოლით დამთავრდა. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა - 3:2.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: გაბელია: მიქაბერიძე, სულაქველიძე, ცვეიბა, სვანაძე, ჭედია, კორღალიძე, ჯიშკარიანი, ქეცბაია, გურული, შენგელია.

საპასუხო მატჩი ამავე გუნდებს შორის ფრედ დასრულდა - 0:0. დინამოელთა შემადგენლობაში ამჯერად გამოდიოდნენ: გაბელია, ფირცხალავა, სულაქველიძე, ცვეიბა, სვანაძე, მიქაბერიძე, ჭედია, ტყებუჩავა, აჯოევი (კორღალიძე), გურული, ფანცულაია.

**ლელო 9.02.1988**